

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (5)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის მაისის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 816 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.2% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.8% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.872 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. მაისის თვეში დაფიქსირდა კლება წინა თვესთან (6.5%-ით), ხოლო ზრდა წინა წლის იმავე თვესთან (2.0%-ით) შედარებით.

2016 წლის მაისის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 7.6%-ით შემცირდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 33.0%-ით გაიზარდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 1.4%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 16.9%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.864 და 1.142 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. მაისის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (1 837 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 48.1%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 762 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 46.2%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 94.3% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 144 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 50 კოოპერატივი, 14 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 8 სააქციო საზოგადოება და 1 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

ა. წ. მაისის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... მაისი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... მაისი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
მაისი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	მაისი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3619	3671
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	124	145
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3743	3816
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.7	96.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.3	3.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	1.1	-7.6
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	13.8	33.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	1.4	-6.5
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-8.2	1.4
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-12.1	16.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-8.3	2.0
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.852	0.864
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.976	1.142
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.855	0.872
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	1992	1837
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	0
კოოპერატივი	ერთეული	126	50
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1479	1762
სააქციო საზოგადოება	ერთეული	9	8
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	13	14
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	123	144
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	1	1
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. მაისი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა		პროცენტი
		მაისი 2016	მაისი 2015	აპრილი 2016
1	თბილისი	1554	7.4	-5.3
2	ბათუმი	275	13.2	13.2
3	ქუთაისი	187	-6.5	1.1
4	რუსთავი	112	-1.8	-27.3
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	92	196.8	-12.4
6	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	73	-6.4	15.9
7	მარნეულის მუნიციპალიტეტი	72	18.0	-7.7
8	ფოთი	71	54.3	47.9
9	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	62	-22.5	24.0
10	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	51	34.2	18.6

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

